უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№9 (28) 2013

აკადემიკოსი ლადო პაპავა: „ცვლილებები იქნება, მაგრამ არ ვარ ის ადამიანი, რომელიც მოწადინებულია ცვლილება განახორციელოს ცვლილებისათვის“

აკადემიკოსი ლადო პაპავა ერთ თვეზე ცოტა მეტია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია. უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მას, თავისუფალ და კონკურენტულ არჩევნებში, ნდობა 16 აგვისტოს გამოუცხადა. ახალმა რექტორმა პირველი სასწავლო წელი გახსნა უნივერსიტეტში და პირველი ნაბიჯების გადადგმაც დაიწყო. დღეს მას გაკეთებულსა და გასაკეთებელზე ვესაუბრებით:

– ახალი რექტორისგან ყველა ცვლილებებს ელის – უნივერსიტეტშიც, უნივერსიტეტის გარეთაც. რა იქნება თქვენი მთავარი შეტყობინება ყველასთვის, და განსაკუთრებით – სტუდენტებისთვის?

– ცვლილებები აუცილებლად იქნება, მაგრამ მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც მოწადინებულია ცვლილება განახორციელოს ცვლილებისათვის. ნამდვილად არ ვაპირებ გადახვევას წინასაარჩევნო დაპირებებიდან, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მე საქმიანობას შევუდექი 19 აგვისტოს. ეს დაემთხვა შვებულებების და არდადეგების დროს, ამიტომ დიდი აქტიურობა ამ თვალსაზრისით გამორიცხული იყო. ჩვენ სასწავლო წელი დავიწყეთ 16 სექტემბერს. ამ პერიოდში მიმდინარე პრობლემური საკითხების გადაჭრა გვიხდებოდა, რომლებზეც ყურადღებას ვერ მოვადუნებდით.

უნივერსიტეტში უკვე დაინიშნა სამი ვიცე-რექტორი. სასწავლო ნაწილში ვიცე-რექტორის საქმიანობას გააგრძელებს აკადემიკოსი ლევან ალექსიძე; ძალიან მინდოდა სამეცნიერო ნაწილში ვიცე-რექტორი ყოფილიყო ბუნებისმეტყველი, რადგან ბუნებისმეტყველების დარგები ყოველთვის იყო ქართული მეცნიერების გამორჩეული სახე. წინადადებით მივმართე ცნობილ ქართველ ფიზიკოსს მერაბ ელიაშვილს, რომელმაც თანხმობა განაცხადა. შევქმენით ახალი

გაგრძელება მე-2 გვ.

ახალი სასწავლო წელი უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წელს სტუდენტთა 95-ე თაობა მიიღო – სწავლის დაწყების ცერემონია უნივერსიტეტში 16 სექტემბერს გაიმართა. პირველი კორპუსის წინ შეკრებილ სტუდენტებს სწავლის დაწყება უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ მიულოცეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყველაზე რეიტინგული და მოთხოვნადია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 13562-მა აბიტურიენტმა პირველი არჩევანი სწორედ თსუ-ზე გააკეთა და მათი დიდი ნაწილი დღეს უნივერსიტეტის სტუდენტია.

ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის განცხადებით, „გამოცდების შედეგების რეიტინგული სიის მიხედვით ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი ყველაზე მეტი სტუდენტი თსუ-ში ჩაირიცხა. თსუ წამყვანია ნაწილობრივი დაფინანსების მქონე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობითაც.“

2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ში ბაკალავრიატის პირველ კურსზე 4517 აბიტურიენტი ჩაირიცხა. ქართულ

გაგრძელება მე-3 გვ.

აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელების საყურადღებოდ!

შეისწავლეთ თქვენთვის საჭირო ყველა საგამოცდო საგანი ერთ სივრცეში!

გვ. 4

შემოდგომის ლეგენდა – 2013

გვ. 4

კულტურისა და სპორტის სიახლეები უნივერსიტეტში

გვ. 4

ყველაზე რეიტინგულები თსუ-ში

2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, საქართველოს მასშტაბით ყველაზე მაღალრეიტინგულ აბიტურიენტთა ათეულიდან ოთხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. ოთხივე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულებაზე ისწავლის. ვინ არიან და რა გეგმები აქვთ სამომავლოდ 2013 წლის ერთიანი გამოცდების შედეგად საუკეთესო ათეულში მოხვედრილ, თუ თსუ ფაკულტეტებზე ყველაზე მაღალმაჩვენებლიან სტუდენტებს? ამის გარკვევას ჩვენ თავად მათთან შევეცადეთ.

საქართველოში ეროვნული გამოცდების შედეგად ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე (2303.2 საკონკურსო ქულა) ***თათია შარია*** საუკეთესო ათეულში მოხვედრაზეც კი არ ფიქრობდა. როგორც თავად ამბობს, არცთუ ოპტიმისტური ვარაუდი, გასულ წელთან შედარებით, მსუბუქი გრაფიკის გამო ჰქონდა. ილია ვეკუას სახელობის 42 საჯარო სკოლის მოსწავლე, სკოლის პროფილიდან გამომდინარე, ტექნიკურ საგნებს და მათ შორის ფიზიკას დიდ დროს უთმობდა, თავიც ამ დარგში ამიტომ წარმოედგინა. ცნობისათვის – სასკოლო ოლიმპიადებში მონაწილეობისას ძირითადად რეზერვში იყო, „რადგან ბიჭები სჯაბნიდნენ“. საერთოდ მიიჩნევს, რომ ტექნიკური საგნების სწავლა, ფიზიკის ჩათვლით, ისეთ უნარებს ავითარებს, რომელიც სხვა საგნების შესწავლას უწყობს ხელს. დარჩება თუ არა ფიზიკის ერთგული ბოლომდე, ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ გადაწყვეტს. თვლის, რომ თსუ ფიზიკის დარგის შესასწავლად კარგი არჩევანი იყო. ამაში საკუთარი დის მაგალითიც არწმუნებს, რომელიც ფიზიკას ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა.

თავის მაღალ ქულებს ***ლამა ფანცხავა*** (2260.0 საკონკურსო

გაგრძელება მე-3 გვ.

PDF compression, OCR, web-optimization with CVISION's PdfCompressor

აკადემიკოსი ლადო პაპავა: „ცვლილებები იქნება, მაგრამ არ ვარ ის ადამიანი, რომელიც მოწადინებულია ცვლილება განახორციელოს ცვლილებისათვის“

პირველი გვერდიდან

შტატიც – უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი სტრატეგიული განვითარების საკითხებში. ჩემი მიზანია, რომ უნივერსიტეტი იყოს ორიენტირებული მომავალზე, ვიცოდეთ რა საერთაშორისო პროგრამებია, რა კონტაქტებია, რა შესაძლებლობებია, რომელი ახალი მოდელების გამოყენება შეიძლება. აქ, ჩემი აზრით, უმაღლესი განათლების დარგში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი – ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი მარინე ჩიტაშვილი დაინიშნა. ასეთია უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობა.

გარდა ამისა, იმ დაპირებებიდან გამომდინარე, რომელიც მე მქონდა, ყველა სამსახურს მიცემული აქვს შესაბამისი დავალებები. ოქტომბრის დასაწყისში ვაპირებ მოვიკითხო, როგორ არის სიტუაცია ყველა ამ მიმართულებით.

– რამდენიმე დღეა დაიწყო სასწავლო წელი, უნივერსიტეტში პირველკურსელებმა შემოაბიჯეს...

– მე გახარებული ვარ და მინდა გაზეთის მკითხველსაც გავუზიარო, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოირჩევა იმით, რომ მასზე ყველაზე დიდია მოთხოვნა, ყველაზე მეტი სტუდენტი ჩვენთან მოვიდა. ამასთან, 10 საუკეთესო სტუდენტიდან 4-მა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აარჩია. ისინი რეიტინგის მიხედვით არიან პირველი, მეექვსე, მეშვიდე და მეათე. რაც განსაკუთებით ნიშანდობლივია, ყველა მათგანმა აარჩია ფიზიკის მიმართულება. ეს ჩემთვის ძალიან სასიხარულოა. მინდა, რომ ეს ტენდენციად ჩამოყალიბდეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგადად საქართველოში 10 რეიტინგულიდან 6-მა აირჩია ფიზიკა. ეს შეიძლება იყოს შემობრუნების პირველი სიგნალი – მე მახსოვს, რომ ჩემი თაობის აბიტურიენტებში ყველაზე პოპულარული იყო ფიზიკის, მექანიკა-მათემატიკის, მედიცინის ფაკულტეტები, ყველაზე საუკეთესო ახალგაზრდები ამ მიმართულებით მიდიოდნენ. ამის შესახებ მე მოვუყევი უწმინდესსა და უნეტარესს კათოლიკოს პატრიარქს და, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, მას როგორ გაუხარდა. ის თვლის, რომ, როგორც ჩანს, სასიკეთო ძვრები ხდება. თუ ეს ერთჯერადი არ არის და გაისადაც მსგავსი ტენდენცია შენარჩუნდა, ეს ძალიან კარგია.

– დაპირებებს გავყვეთ. თქვენი კონცეფცია იწყებოდა იმით, რომ რექტორი უნივერსიტეტის ავტონომიის მთავარი გარანტი იქნებოდა. რას გულისხმობთ ამაში?

– ამაში ვგულისხმობ, რომ რექტორი არც ერთ პოლიტიკურ თამაშში არ უნდა მონაწილეობდეს, ის უნდა იცავდეს უნივერსიტეტის ინტერესებს. ბუნებრივია, რომ რექტორს ამ პროცესში სჭირდება მჭიდრო ურთიერთობები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სჭირდება კარგი კონტაქტი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რექტორი ამა თუ იმ ძალის პოლიტიკურ დაკვეთებს უნდა ასრულებდეს.

მაგალითად, მე მომმართა ერთ-ერთმა ძალიან პოპულარულმა პარტიულმა გაზეთმა, რომ მიმეცა ინტერვიუ. დიდი ბოდიშით, უარი ვუთხარი, რადგან თუ მივცემ ინტერვიუს ერთ პარტიულ გაზეთს, მაშინ ეს პროცესი ვერ გაჩერდება. რაც შეეხება თანამშრომლობას – მე არა ერთი უშუალო შეხვედრა, ძალიან კონსტრუქციული და საინტერესო საუბარი მქონდა ქალბატონ თამარ სანიკიძესთან. მას აქვს ასეთი ფორმატი – რექტორთა საბჭო, რომელიც, როგორც წესი, ყოველ ორშაბათს იმართება და ჩვენ ამ ფორმატში ვიხილავთ სხვადასხვა საკითხებს. სხვა მხრივ ძალიან ცოტა დროა გასული და ამ პერიოდში განსაკუთრებული პოლიტიკური ბატალიები უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით არ ყოფილა. ერთადერთი – პრეზიდენტმა ვეტო დაადო პარლამენტის მიერ მიღებულ ცვლილებებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში და ეს ვეტო პარლამენტმა დაძლია.

– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა უმაღლესი განათლების რეფორმაში. დღეს განათლების სამინისტრო ახალ კანონპროექტებს ამზადებს, იგეგმება ცვლილებები უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით. რა პოზიცია აქვს უნივერსიტეტს ამ კანონპროექტებთან დაკავშირებით?

– ერთი რამ აუცილებლად უნდა ვთქვათ, ზაფხულში მოხდა ცვლილება კანონში, რომლითაც უნივერსიტეტი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ბუნებრივია, რომ ახალი კანონიდან გამომდინარე საჭირო იყო ახალი წესდების მიღება. 29 ივლისის მთავრობის დადგენილებით საბოლოო ვადად განისაზღვრა 15 სექტემბერი. ამიტომ უნივერსიტეტი მუშაობდა ახალ წესდებაზე და ეს წესდება უკვე დამტკიცებულია. მაგრამ, იმის გათვალისწინებთ, რომ პარლამენტმა უკვე დაძლია ვეტო, რომელიც პრეზიდენტმა დაადო უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებებს, ჩვენ წესდება კიდევ ერთხელ უნდა გადავამუშაოთ, უკვე ახალი კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ეს არის ის სამართლებრივი სივრცე, რომელიც იქმნება უნივერსიტეტებთან დაკავშირებით. ეს მარტო ჩვენს უნივერსიტეტს არ ეხება, ეს ეხება ყველა უმაღლეს სასწავლებელს. პარალელურ რეჟიმში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოდის ინიციატივით შემუშავდეს კანონი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ. ჩვენ ასევე ინტენსიურად ვართ ჩართული ეროვნული სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნის ინიციატივის განხილვაში. ბუნებრივია, რომ აქ მოიაზრებიან ის ინსტიტუტებიც, რომლებიც უნივერსიტეტის შემადგენლობაშიც არიან. გარდა ამისა, არის ახალი სამართლებრივი სტატუსის – სპეციალური საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემუშავების იდეაც. ეს სტატუსი სამართლებრივ მარწუხებს შეუმსუბუქებს უმაღლეს სასწავლებლებს. ეს არის მიმდინარე საკითხები, რომლებშიც ჩვენ ვართ ჩართულები.

– ინსტიტუტების გაერთიანება უნივერსიტეტების ქოლგის ქვეშ წინა ხელისუფლების განათლების რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ამჯერად უნივერსიტეტები ინსტიტუტების გარეშე რჩებიან?

– არ რჩება უნივერსიტეტი ინსტიტუტების გარეშე. საუბარია ეროვნული სამეცნიერო ცენტრის შექმნაზე. თავად ასეთი ცენტრი, ალბათ, შეიქმნება, იმიტომ, რომ ამის პოლიტიკური ნება არსებობს. მაგრამ აქ არის ჩემი პრინციპული განსხვავება, რაშიც არასოდეს არ ვეთანხმებოდი არც ერთ მთავრობას და, შესაძლოა, არც ამ მთავრობას დავეთანხმო – მთავრობა ყოველთვის ცდილობს ზემოდან მოიფიქროს რაღაც სქემა, რაც უკეთესია ინსტიტუტებისთვის. ჩემი სქემა იყო ძალიან მარტივი – თავად ინსტიტუტების სამეცნიერო კოლექტივები უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებას, სად ურჩევნიათ მათ ყოფნა – უფრო ეფექტიანი სამეცნიერო კვლევის წარმოებისთვის. მაგალითად დღეს, ფორმალურად, ინსტიტუტებს აქვთ უფლება დაბრუნდნენ მეცნიერებათა აკადემიაში, მაგრამ პრაქტიკულად არ არსებობს ამის პოლიტიკური ნება. ინსტიტუტებს ეტყვიან – თუ გინდათ დაბრუნდით აკადემიაში, მაგრამ – შენობების გარეშე. მიმაჩნია, რომ ზემოდან ინსტიტუტებს უნდა შევთავაზოთ არა სად წავიდნენ ისინი, არამედ „მენიუ“. ამ „მენიუში“ უნდა იყოს: უნივერსიტეტებში დარჩენა; დარგობრივ სამინისტროებში წასვლა – იქნებ ერჩივნოთ გარემოს დაცვის სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში ან სხვა სამინისტროში წასვლა, გამომდინარე მათი პროფილიდან; ან წასვლა მეცნიერებათა აკადემიაში. რაც მთავარია – თუ იქმნება სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრი, თუნდაც იქ წავიდნენ. მათ უნდა ქონდეთ 3-4 თვიანი ვადა ამ არჩევანის გასაკეთებლად. მაგრამ, როგორც ვაკვირდები, ეს ასე არ იქნება. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ინსტიტუტებს არ მისცემენ მეცნიერებათა აკადემიაში დაბრუნების შესაძლებლობას, რაც გულდასაწყვეტი შეცდომა იქნება. ინსტიტუტებს ეტყვიან – ან დარჩით უნივერსიტეტში, ან წადით სამეცნიერო კვლევათა ეროვნულ ცენტრში. ინსტიტუტებმა უნდა დაწერონ პროექტი და ამ პროექტის საფუძველზე შეიძლება დაფუძნდეს სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრი. აქ ერთ საფრთხეს ვხედავ – ძალიან არ მინდა, რომ საქართველო დარჩეს მეცნიერების მსხვილი დარგის ინსტიტუტების გარეშე, რადგან ჩვენ ყველა დარგში ერთნაირი წარმატება არ გვაქვს. ეს შეცდომა იქნება, არ შეიძლება ქვეყანას ჰქონდეს მომავალი მეცნიერების გარეშე, მეცნიერების ყველა მსხვილი დარგი უნდა იყოს წარმოდგენილი სახელმწიფოში – თუნდაც ერთი ინსტიტუტით.

– ისევ საუნივერსიტეტო ცვლილებებს დავუბრუნდეთ – თქვენს კონცეფციაში აღნიშნული იყო, რომ დღეს არსებული მრავალდარგობრივი ფაკულტეტების ნაცვლად შეიძლება ვიფიქროთ მონოდარგობრივ ფაკულტეტებზე. ეს ნიშნავს, რომ ფაკულტეტების დაშლას უნდა ველოდოთ?

– მე 4 წლით ვარ არჩეული და ნურავინ ელის, რომ ამას ახლავე, უახლოეს ერთ-ორ თვეში გავაკეთებ. ხელოვნურად ჭრა თუ დავიწყეთ, ამას აუცილებლად მოჰყვება შეცდომა. არ მინდა შეცდომების დაშვება – უშეცდომო ნამდვილად ვერ ვიქნები, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, მაგრამ მინდა, რომ ისინი მინიმუმამდე დავიყვანოთ. უარს არ ვამბობ ფაკულტეტების რიცხვის გაზრდაზე და უფრო პროფილური ფაკულტეტების შექმნაზე, თუმცა ეს მექანიკურად არ უნდა მოხდეს. უნდა იყოს გარკვეული მიზანშეწონილობა და, ამასთანავე – ფინანსური უზრუნველყოფა. მინდა კარგად გავიაზროთ ეს პროცესი – შეიძლება მრავალდარგობრივი ფაკულტეტი არ დაიშალოს 5 ან 6 ფაკულტეტად, არამედ პრველ ეტაპზე დაიყოს ორად. მე ამას ვუყურებ როგორც პროცესს და არა როგორც ერთჯერად აქტს. იმიტომ, რომ ერთჯერადი აქტით მექანიკურად ისევე გავაფუჭებთ სისტემას, როგორც გაერთიანებით გაფუჭდა.

– თქვენ ფინანსები ახსენეთ. საინტერესო იყო თქვენს კონცეფციაში ის ნაწილი, სადაც საუბრობთ სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტზე დახარჯული თანხების შესახებ. ამ ჩამონათვალში საქართველო, 2250 ლარით, სახარბიელოდ ვერ გამოიყურება. როცა მსოფლიო ბაზარზე ასეთი კონკურენციაა და ამდენი თანხები იღება განათლებაში, რამდენად შესაძლებლია ამ თანხით სტუდენტს კონკურენტუნარიანი განათლება და დიპლომი მისცე?

– ჩვენ, პრაქტიკულად, დაფინანსების ზედა ზღვარზე ვართ გასული, რაც ბიუჯეტიდან შეიძლებოდა მიგვეღო. იმიტომ, რომ ათვისებული გვაქვს ის კვოტა, რამდენი სტუდენტის აყვანაც შეგვიძლია – 22 000 სტუდენტამდე. ამაზე მეტი ტექნიკური ბაზა უნივერსიტეტს არ გააჩნია. აქედან გამოდინარე, დაფინანსების ამ კუთხით ზრდის მექანიზმია, თუ მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ გაზარდოს გრანტის მოცულობა. თუმცა, შესაბამისად, სწავლის საფასურიც გაიზრდება მათთვის, ვინც გრანტს ვერ აიღებს. ამას გარდა, გაჩნდა გარკვეული მიმართულებები, რომელსაც მთავრობა აფინანსებს და აქვე გაჩნდნენ ახალგაზრდები, ვინც გრანტი მიიღო. ისინი გრანტის მომტანები არიან და, ამასთანავე, მათი მიმართულებები დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ. რაც შეეხება ფინანსების მობილიზებას – აქ სხვადასხვა იდეები არსებობს, მათ შორის უცხოელი სტუდენტების საფასურთან დაკავშირებითაც. მაგრამ, აქაც გვინდა კონკურენტუნარიანობა შევინარჩუნოთ. მაგალითად უცხოელებისგან – ერაყელების, ინდოელების, პაკისტანელების და სხვებისგან, არსებობს მედიცინის ფაკულტეტზე სწავლის მოთხოვნა. აქ ჩვენ ძალიან მაღალ ფასს ვერ ვთავაზობთ, რადგან მაგალითად იგივე სამედიცინო ფაკულტეტზე გვაქვს სერიოზული პრობლემა – არ გვაქვს საუნივერსიტეტო კლინიკა. ჩვენ დიდად გვეხმარება აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი, რომელიც თვლის, რომ მისი კლინიკა საუნივერსიტეტო კლინიკაა. თუმცა ტრადიციული, მრავალპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც იქნება ყველა მიმართულება – თერაპია, ქირურგია და ა.შ. არ გვაქვს. უცხოელ სტუდენტს დღესაც, აღგილობრივ სტუდენტთან შედარებით, მეტი აქვს გადასახდელი, ფასის კიდევ უფრო გაზრდით კი, შესაძლოა, საერთოდ დავკარგოთ ისინი. მედიცინის ფაკულტეტზე უკვე შემოსულია წინადადებები ამ მიმართულებით, თუმცა ამ საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ ჩვენს კომპეტენციაში არ არის. ჩვენ დაგვჭირდება სერიოზული მუშაობა, პირველ რიგში – ეკონომიკის სამინისტროსთან და, რა თქმა უნდა, ჯანდაცვის სამინიტროსთან.

– ახალგაზრდა კადრების გაზრდაზე მინდა გკითხოთ – პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის ამოქმედებაა ნახსენები კონცეფციაში.

– პოსტდოქტორანტურის ამოქმედებაზე დავალება უკვე მიცემულია. დავალების არსი მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში არსებული გამოცდილების, კონკრეტულად დებულებების მოძიებაა, რომელთა შესახებ დეტალებს შემოდგომაზე ყველა ფაკულტეტზე გავივლით. ფინანსურ დეპარტამენტს მიღებული აქვს დავალება, რომ ამისთვის გავითვალისწინოთ ფინანსები. სავარაუდოდ, 2014 წლიდან თითოეულ ფაკულტეტზე გავხსნით პოსტდოქტორანტურის 2 ვაკანსიას, ჩავატარებთ კონკურსებს მათთვის, ვინც სადოქტორო დისერტაცია ცოტა ხნის წინ დაიცვა, რათა შევარჩიოთ საუკეთესოები.

– ტენუარის პრინციპთან დაკავშირებით რას იტყვით?

– მე მქონდა საუბარი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამოდენიმე ფიზიკოსთან, თან ისეთებთან, რომლებიც აღიარებული არიან საერთაშორისო დონეზე. ამ თემაზე საკმაოდ ინტენსიურად გვქონდა განხილვა ქალბატონ მარინე ჩიტაშვილთანაც. ტენუარის იდეა არის ძალიან საინტერესო, მაგრამ აქვს რამდენიმე ხარვეზი: ჯერ ერთი, დასავლეთშიც საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილი ამ ინსტიტუტის მიმართ. იმიტომ, რომ ეს ზოგიერთ მეცნიერს აზარმაცებს. გარდა ამისა, არის მეორე, ფინანსური მხარე – ეს საკმაოდ ძვირადღირებული იქნება ჩვენთვის. ამიტომ, ასეთი პროექტების რეალიზაციისგან ჩვენ, თუ მართლა არ ვიქნებით დარწმუნებული მის პოზიტიური შედეგში, თავს შევიკავებთ.

– სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტებში ყოველთვის აღიქმებოდა არსებული ხელისუფლების ახალგაზრდულ დასაყრდენად. აპირებთ თუ არა რაიმეს გაკეთებას ამ მიმართულებით?

– დავიწყოთ იქიდან, რომ არსებული ხელისუფლების, რომელი ხელისუფლებაც არ უნდა იყოს, არანაირი დასაყრდენი უნივერსიტეტში არ იქნება, რადგან საზოგადოდ ასეთი რამ უნივერსიტეტისთვის არის დამანგრეველი. რაც შეეხება სტუდენტურ თვითმმართველობას – სასწავლო წელი ახლა დაიწყო და მე მექნება მათთან შეხვედრა. სტუდენტური თვითმმართველობის მომავალთან დაკავშირებით მე გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობ, რადგან, განათლების და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს ახალ კანონზე და ამ კანონმა, შესაძლოა, თვისობრივად შეცვალოს ახალგაზრდული სტუდენტური გაერთიანებების შექმნის წესი და როლი უნივერსიტეტებში. ამასთან, სტუდენტური თვითმმართველობები დღევანდელი მოქმედი კანონით არსებობს და აქ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების გატარება არ იქნება გამართლებული.

– სამმაგი სპირალის პრინციპი გაქვთ ნახსენები კონცეფციაში. რა ტიპის თანამშრომლობა შეიძლება შედგეს უნივერსიტეტს, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის?

– ჩვენი აპარატის თანამშრომლებმა უკვე დაიწყეს ამ მიმართულებით შეხვედრები. საუბარია იმაზე, თუ რითი შეგვიძლია დავაინტერესოთ ბიზნესი. ჩემთან უკვე იყო თსუ-ს რამდენიმე პროფესორი, რომლებმაც კონკრეტული წინადადებები მოგვაწოდეს გამოყენებითი მეცნიერებების მიმართულებით. აქ კიდევ ერთი საინტერესო მომენტია – უნივერსიტეტს აქვს სერიოზული გამოწვევა – ათასწლეულის განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოში უნდა გაძლიერდეს საინჟინრო სკოლა. ჩვენი უნივერსიტეტი, რომელიც კონკურსში მონაწილე სამივე კონსორციუმის წევრია, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ბიოინჟინერიის კუთხით ჩაერთვება ამ პროცესში. ასე რომ, ესეც იქნება პრაქტიკულად ახალი ნაბიჯი, გარღვევა. ორი ჯგუფი უკვე ჩამოსული იყო მოლაპარაკებების საწარმოებლად, ახალ ჯგუფსაც ველოდებით. დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტი აუცილებლად გაიმარჯვებს კონკურსში.

PDF compression, OCR, web-optimization with CVISION's PdfCompressor

ყველაზე რეიტინგულები თსუ-ში

პირველი გვერდიდან

ქულა) საგნისადმი დიდი ინტერესის, მუშაობის და ცოტა ნიჭის" დამსახურებად მიიჩნევს. იგი კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის ყოფილი მოსწავლეა. ბებია – ლეილა ჩიქოვანი, ფიზიკოსი იყო, რომელიც როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ (ცერნში) მოღვაწეობდა. ლაშამ იცოდა, რომ მაღალ ქულებს აიღებდა. ყველაზე მეტად უნარების ქულები ადარდებდა, თუმცა ცული ნიშნები არც აქ მიუღია. იმედი აქვს, რომ წარმატებული იქნება, რადგან საამისოდ მონდომებას არ დაიშურებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაცვლითი პროგრამებით საზღვარგარეთ წასვლასაც ფიქრობს. რაც შეეხება სხვა აქტივობებს - კურსელებთან ერთად "რა, სად, როდის" და კალათბურთის გუნდების შექმნის იდეა და სურვილი აქვს.

თსუ-ს სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებამდე ***რომან კუტუბიძე*** (2259.9 საკონკურსო ქულა) "თავისუფალ უნივერსიტეტსა" და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არჩევანზე ჭოჭმანებდა. კომაროვის სკოლის ყოფილი მოსწავლე ფიქრობს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკუთარი თავის პოვნასა და რეალიზებაში დაეხმარება. დარწმუნებულია, რომ თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებს და მაგისტრატურაში ჩააბარებს. მოჰყვება თუ არა ამას დოქტურანტურა, მერე გამოჩნდება. ამ დროისთვის ფიქრობს, რომ მეცნიერებას გაჰყვება, მაგრამ დაბეჯითებით გადაწყვეტილი არ აქვს. მისი ერთ-ერთი გატაცება პროგრამირებაა, რომელშიც ცოდნის საფუძვლიანად გაღრმავება სურს. მართალია, უნივერსიტეტთან შეხება მანამდეც ჰქონდა, როგორც თსუ-ში არსებული ფიზიკის წრის მოსწავლეს, მაგრამ უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსით გატარებულმა პირველმა დღემ კიდევ უფრო კარგი განწყობა შეუქმნა. მოეწონა მისთვის გადაცემული საჩუქარიც, გარემოც და ბავშვებიც, ვისთან ურთიერთობაც ჰქონდა.

ვაჟა ლოლაძე (2257.2 საკონკურსო ქულა) ხაშურის რაიონის სოფელ ალიდანაა. როგორც ამბობს, საბუნებისმეტყველო საგნები ბავშვობიდან აინტერესებდა, საიდანაც შემდეგ უკვე ფიზიკა გამოყო. თსუ-ზე არჩევანი ორი ძირითადი მიზეზის გამო გააკეთა – მისი ოჯახის ყველა წევრი სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა; გარდა ამისა, თსუ-ს კურსდამთავრებულებში ბევრი ცნობილი და წარმატებული ფიზიკოსია, რომლებიც მისთვის ავტორიტეტები არიან. სამომავლოდ, სხვა მაღალრეიტინგული თანაკურსელების მსგავსად, ისიც აკადემიური საქმიანობის შესახებ ფიქრობს. მართალია კომპიუტერთან ძალიან დიდ დროს ატარებს, მაგრამ ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის მიმდინარე აქტივობებზე ინფორმაციის შეგროვებას და მათში ჩართვას აპირებს.

იურიდიული ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგულმა პირველკურსელმა ***ლადო სირდაძემ*** ჭიათურის მე-5 საჯარო სკოლა დაამთავრა. თვლის, რომ თსუ-ს უმაღლეს სასწავლებლებს შორის საუკეთესო პროგრამა აქვს და ბევრი წარმატებული კურსდამთავრებულიც ჰყავს.

მისი დაც თსუ-ს კურსდამთავრებული იურისტია. ერთი პერიოდი სამედიცინოზე სურდა ჩაბარება, რადგან ბიოლოგიის ოლიმპიადების გამარჯვებულია და ეს სფეროც იზიდავს. ცნობისათვის, "ფლექსის" ერთწლიანი გაცვლითი პროგრამით აშშ-ში ყოფნისას, შტატებს შორის შეჯიბრისას, მისურის სკოლის წარმომადგენელის სტატუსით წარმატებულად ღებულობდა მონაწილეობას ოლიმპიადაში, მათ შორის ბიოლოგიაში. საბოლოოდ იურიდიული ფაკულტეტი ამჯობინა, რომელიც საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიაჩნია. უნდა "მედიაციის" მიმართულებით წავიდეს, რომელიც მომავალში ძალზე პერსპექტიული გახდება.

ზესტაფონელმა ***სოფო ჩხენკელმა***, როგორც თავად ამბობს, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი მათემატიკის სიყვარულის გამო აირჩია. მათემატიკა ბავშობიდან "უყვარდა და მიყვებოდა, რადგან მასწავლებელიც მკაცრი და მომთხოვნი ჰყავდა". თვლის, რომ "რაღაცას" უკვე მიაღწია და თავისი შესაძლებლობებიც ნაწილობრივ გამოავლინა. ახლა სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართვას და სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობასაც გეგმავს. მათ შორის თვითმმართველობის აქტივობების თვალსაზრისით. ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაბარება მისი პირადი გადაწყვეტილებაა. თვლის, რომ დარგი პერსპექტიულია, თავის თავს სამომავლოდ ბიზნესის ადმინისტრირებასა და მარკეტინგში ხედავს. კარგად ფლობს ინგლისურს, და რადგან თსუ ეკონომიკის ფაკულტეტს გერმანულ უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობა აქვს, ფიქრობს, რომ ახლა გერმანულის შესწავლის დროც დაუდგა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი ***ნიკოლოზ ხაჩიძე*** გარდაბნის რაიონის საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლეა. მართალია, მშობლებს ერჩიენათ ექიმი გამხდარიყო, მაგრამ თავად ნიკა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტობასა და ამ ფაკულტეტზე ჩაბარებაზე მეათე კლასიდან ფიქრობდა. სამომავლოდ დიპლომატობა სურს. ამ აზრამდე ამერიკაში "ფლექსის" პროგრამით ყოფნისას მივიდა. მამამისი წარმოშობით აფხაზეთიდანაა. მამისა და ნათესავებისგან აფხაზეთის შესახებ ბავშვობიდან ესმოდა. მეხსიერებაში დალექილი ამ ამბების გამო, რომელშიც სასიამოვნოც ბევრი იყო, გადაწყვიტა დიპლომატი გამხდარიყო. უნდა აფხაზეთში ჩავიდეს და ამის შესაძლებლობა სხვასაც მისცეს. კომუნიკაბელურია, ხალხთან ურთიერთობა უყვარს და ამის გამოცდილებაც აქვს. გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის მონაწილეა და 2007 წელს სეზონის ფინალში მეორე ადგილის მფლობელია."

დავით გაგნიძე საჩხერის რაიონის გამოღმა არგვეთიდანაა. თსუ სამედიცინო ფაკულტეტზე წლევანდელი გამოცდების შედეგებით იგი ყველაზე მაღალი ქულებით ჩაირიცხა. თუმცა, პირველი კურსის ნაცვლად, უკვე მესამე კურსის სტუდენტია. მანამდე ორი კურსი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დახურა, მაგრამ შემდგომ თსუ-ში გადმონაცვლება ამჯობინა. მობილობით უნივერსიტეტში გადმოსვლას, საგრანტო დაფინანსების მისაღებად გამოცდების ხელახლა ჩაბარება ამჯობინა. სამედიცინო ინსტიტუტში მიღებული კრედიტების აღიარების შემდეგ იგი უკვე პირდაპირ მესამე კურსზე აღმოჩნდა. ექიმობა ბავშვობიდან უნდოდა, რადგან ამ პროფესიის სიყვარული ექიმმა ბიძამ გაუჩინა. ტრავმატოლოგიის შესწავლას ფიქრობს. სწავლის პირველ დღეს თსუ-ს მიერ საჩუქრად გადაცემული ნეთბუქის გამო, "რომელიც ლექციებზე სატარებლად ძალიან პრაქტიკულია, ძალზე მაღლიერია. გრძნობს რომ მისი მონდომება დააფასეს".

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტ ***ნანა აკოლაშვილს*** ყველაზე მეტად ლიტერატურის კითხვა უყვარს. კითხულობს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ნაწარმოებებს, ბევრს და ხშირად. შესაბამისად, თავის თავს "წიგნის ჭიაც" კი შეუძლია უწოდოს. მომავალში სურს აკადემიურ საქმიანობას გაჰყვეს. იმის გამო, რომ ჩინური და აღმოსავლური კულტურა აინტერესებს, უკვე ჩინური ენის შესწავლაც გადაწყვიტა. თვლის, რომ უნივერსიტეტში მისი პირველი დღე ძალიან პოზიტიურად დაიწყო და იმედი აქვს, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება.

* * *

ახალ სასწავლო წელს სტუდენტებს თსუ-ში ბევრი სასიამოვნო სიახლე დახვდათ.

ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტები თსუ-მ და მისმა პარტნიორმა ბიზნეს-კომპანიებმა სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს.

ახალი სასწავლო წელი უნივერსიტეტში

პირველი გვერდიდან

ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებისთვის) 286 აბიტურიენტი.

ყველაზე მაღალქულიანი პირველკურსელებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, კომპანია „მაგთიკომმა" და გამომცემლობა „პალიტრა L"-მა სპეციალური საჩუქრები დააწესა: უნივერსიტეტმა სხვადასხვა ფაკულტეტის 6 წარჩინებულ სტუდენტს „ნეთბუქები" გადასცა, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად უნივერსიტეტში ჩარიცხული ყველაზე მაღალი ქულების მქონე 5 სტუდენტი კომპანია „მაგთიკომმა" სმარტფონებით დააჯილდოვა, ხოლო გამომცემლობა „პალიტრა L"-მა მაღალრეიტინგული 6 სტუდენტისათვის მიმართულების მიხედვით სპეციალური ლიტერატურა შეარჩია. ღონისძიების პარალელურად აქცია გაიმართა, სადაც სტუდენტებმა თავიანთი პრობლემების შესახებ ისაუბრეს. 18.00 საათზე კი სწავლის დაწყებას სტუდენტებს თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრმა (ბიგ ბენდმა) მიულოცა. კონცერტი თსუ ყველა სტუდენტისათვის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა.

თსუ-ში სტუდენტებს ბევრი სიახლე ელით. მათ შორის ყველა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრები, სადაც ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის, სასწავლო პროგრამების, მათ შორის გაცვლითი პროგრამების შესახებ.

თსუ-ში არსებულ ექვს ფაკულტეტზე: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მედიცინის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიულზე, 201 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება. მათ შორის: 62 საბაკალავრო, 3 ერთსაფეხურიანი (სამედიცინო), 88 სამაგისტრო, 41 სადოქტორო, 5 პროფესიული, 3 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებისთვის).

თსუ 300-მდე უცხოურ უმაღლეს სასწავლებელთან თანამშრომლობს. აქედან საზღვარგარეთის 18 უნივერსიტეტთან ხორციელდება გაცვლითი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი უნივერსიტეტები მიწვეულ სტუდენტს საცხოვრებელით და სტიპენდიით უზრუნველყოფენ.

2012 წლისთვის განსაზღვრული კვოტებით გაცვლითი პროგრამები განხორციელდა ტარტუს (ესტონეთი), ლატვიის, ვილნიუსის (ლიტვა), ვიადრინას ევროპული (გერმანია), ჰელსინკის, ლეიდენის (ჰოლანდია) და სხვა უნივერსიტეტებში. 2013 წლიდან გაცვლითი პროგრამები 4 ახალი პროექტის ფარგლებში განახლდება ყველა საფეხურის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევარებისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ აქტივობებისა, რაც თსუ-ში ხორციელდება. აქ ყველა ფაკულტეტი ძალზე საინტერესო შესაძლებლობებს იძლევა თავის სტუდენტებისთვის.

სიახლეები

25-27 სექტემბერს თსუ უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მოაწყო მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები." სიმპოზიუმის თემაა „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)". სიმპოზიუმში ორასამდე მეცნიერმა 19 ქვეყნის (აშშ, დიდ ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, პოლონეთი, ბულგარეთი, მაკედონია, ისრაელი, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლიტვა, ლატვია, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, ერაყი, ყაზახეთი, ყირგიზეთი), აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებმა თბილისიდან, ქუთაისიდან და გორიდან მიიღეს მონაწილეობა.

* * *

24-30 სექტემბერს თსუ-ში მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბიზანტინოლოგია საქართველოში" გაიხსნა. ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოში საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ელეფთერიოს პროიოსი, ქართველი და უცხოელი მეცნიერები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა ბიზანტინოლოგიის ისტორიულ-თეოლოგიური ასპექტების შესახებ წარმოადგინეს მოხსენებები.

ღონისძიების ორგანიზატორები ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული კავშირი, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი არიან. კონფერენცია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საბერძნეთის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა.

* * *

23 სექტემბერს თსუ-ში თბილისისა და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტების, ასევე რამდენიმე ევროპული უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევართა მონაწილეობით თეორიულ ფიზიკაში, პირველი საერთაშორისო კონფერენცია და საშემოდგომო

გაგრძელება მე-4 გვ.

PDF compression, OCR, web-optimization with CVISION's PdfCompressor

სიახლეები

სკოლა გაიხსნა. კონფერენციაში ჩართულ სიგენის (გერმანია) უნივერსიტეტთან თეორიულ ფიზიკაში ერთობლივ სადოქტორო პროგრამებთან მიერთების მემორანდუმს მოეწერა ხელი. ღონისძიების თანადამფინანსებლები ფოლკსვაგენის საქველმოქმედო ფონდი და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გახლდნენ.

* * *

17 სექტემბერს თსუ-ში ბოლონიის პროცესის განვითარების ჯგუფის საბჭოს შეხვედრა გაიმართა. ბოლონიის პროცესის ფარგლებში საქართველოში უმაღლესი განათლების სამი საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) არსებობს; შემუშავდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო, დამკვიდრდა კრედიტების სისტემა, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო განათლების აღიარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს. 2013 წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით საქართველო ბოლონიის პროცესის თანათავმჯდომარე ქვეყანაა ლიტვის რესპუბლიკასთან ერთად.

* * *

საქართველოს მთავრობამ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვა დაიწყო. პროექტის პირველი საჯარო განხილვა 13 სექტემბერს თსუ-ს, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების ორგანიზებით, სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვა თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ გახსნა, პრეზენტაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა წარმოადგინა. სტრატეგიის პროექტზე ისაუბრა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ. პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მინისტრთა კაბინეტის წევრებმა, ეროვნული ბანკის, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა.

* * *

11 სექტემბერს თსუ-ში გაიმართა მე–5 საერთაშორისო კონფერენცია პოსტ-კომუნისტური ქვეყნების ურბანულ გეოგრაფიაში: „ურბანული კვლევები, ურბანული თეორია და გეგმარებითი პრაქტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში“. ღონისძიება თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ორგანიზებით და შვეიცარიის სამეცნიერო აკადემიური ქსელის (შჩ) მხარდაჭერით გაიმართა. კონფერენციაში საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტისა და კვლევითი ცენტრის 70-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

* * *

თსუ-ს აღმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტში ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებმა გადამზადების პროგრამა „აქტუალური საკითხები საჯარო ფინანსებში“ გაიარეს. კურსის დასრულების შემდეგ, 11 სექტემბერს, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებს სერტიფიკატები გადაეცათ.

* * *

4-7 სექტემბერს მეორე საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“, თსუ დაარსებიდან 95 და ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 45 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციაზე გამოყენებითი მათემატიკის მიმართულებით მოხსენებები ქართველებთან ერთად მეცნიერებმა იტალიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან, კანადიდან, არაბეთის გაერთიანებული საემიროდან წაიკითხეს. კონფერენციის ორგანიზატორები თსუ, თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტი, თბილისის საერთაშორისო ცენტრი მათემატიკასა და ინფორმატიკაში, საქართველოს ეროვნული კომიტეტი თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში. ღონისძიების სპონსორი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გახლდათ.

* * *

4-5 სექტემბერს თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანიზებით საერთაშორისო კონფერენცია „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“ გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორები თსუ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გახლდნენ.

* * *

2-4 სექტემბერს თსუ-ში პოლიმერებსა და მოწინავე მასალებში კავკასიის მე–3 საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიხსნა. ღონისძიებაში 9 ქვეყნის 90 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის მიზანი პოლიმერების და მოწინავე ქიმიის სფეროში მომუშავე მეცნიერების ზემოხსენებულ სფეროებში არსებულ პრობლემებსა და აღმოჩენებთა დაკავშირებული საკუთარი კველვების წარდგენაში დახმარებაა.

კულტურისა და სპორტის სიახლეები უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული ცხოვრება 1928 წლიდან იწყებს ათვლას, როდესაც უნივერსიტეტში „სტუდენტური თეატრი“ დაარსდა, შემდეგ იყო „ვაჟთა ვოკალური ანსამბლი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი, მოგვიანებით შეიქმნა ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი 2“, გოგონათა ვოკალური და გოგონათა ხალხური სიმღერის ანსამბლები. თანამედროვე ცეკვების ჯგუფი, ბენდი TSU-ART, მან-სან-კან კი თანამედროვე თსუ-ს ისტორიაა. უნივერსიტეტში კიდევ უფრო ადრეულ წლებში დაიწყო სპორტული ცხოვრება. 1918 წლის 25 აგვისტოს, პროფესორ გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით, საქართველოში პირველად, შეიქმნა სატანვარჯიშო სპორტული საზოგადოება „შევარდენი“. ჩამოყალიბდა ათლეტიზმის, ალპინიზმის, კალათბურთის, მშვილდოსნობის, ფრენბურთის, მკლავჭიდის, მაგიდის ჩოგბურთის, ფუტსალის და ხელბურთის გუნდები, რომლებმაც წარმატება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც მოიპოვეს. ცოდნის დაუფლების პარალელულად, კულტურული და სპორტული ცხოვრება თსუ-ში დღესაც პრიორიტეტულად ითვლება.

უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯევანიძის ინფორმაციით, ამჟამად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს: მაგიდის ჩოგბურთის, მშვილდოსნობის, ვაჟ და ქალ ფრენბურთელთა, ათლეტიზმის და მკლავჭიდის სექციები. თსუ-ს ჰყავს ფუტსალის, კალათბურთის და ხელბურთის ძლიერი სტუდენტური ნაკრებები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა უნივერსიადებსა და სტუდენტურ ჩემპიონატებზე. ალპინიზმთა კლუბი, რომელსაც 92 წლიანი ტრადიცია გააჩნია, ყოველ სასწავლო წელს ორჯერ აწყობს ალპინიადებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს კულტურულ-შემოქმედებითი წრეები: „თსუ გორდელა“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“, თეატრალური დასი „სხვენი“, თსუ მუსიკალური ბენდი „თსუ არტი“, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, თანამედროვე და ხალხური ცეკვების სექციები, სადაც ნებისმიერ, შესაბამისი ნიჭის მქონე სტუდენტს შეუძლია გაწევრიანება.

როგორც ირაკლი ხარჯევანიძე აღნიშნავს, თსუ მუდმივად ცდილობს სტუდენტების კულტურული და სპორტული ცხოვრების დახვეწას და გამრავალფეროვნებას. წელსაც, ახალი სასწავლო წლის დაწყებას კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი სიახლეებით შეხვდა და სტუდენტებს შესთავაზა ახალი სექციები და განახლებული ინფრასტრუქტურა.

„ფეხბურთი ერთ-ერთი მაღალმოთხოვნადი სპორტის სახეობაა თსუ სტუდენტებს შორის. სტუდენტები ინტენსიურად იყენებენ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში არსებულ საფეხბურთო მოედანს. ამიტომ, მიმდინარე წლის ზაფხულში გადაწყდა მოედნის განახლება, შეიცვალა მოედნის საფარი და უფრო მაღალი ხარისხისა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამზადებული ხელოვნური ბალახი დაიგო“ – ამბობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

გარდა ამისა, ახალი სასწავლო წლისთვის გარემონტდა მშვილდოსნობის სექციის დარბაზიც, განახლდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სექცია მზადაა სრულად დააკმაყოფილოს სტუდენტთა სპორტული ინტერესი. გააქტიურდა მაღლივი კორპუსის სპორტული კომპლექსის საქმიანობა, ახალი სასწავლო წლის დაწყებისას მაღლივი კორპუსის სპორტულ დარბაზში გაიხსნება ჭადრაკის სექცია. ირაკლი ხარჯევანიძის თქმით, ჭადრაკი დიდ ინტერეს იწვევს სტუდენტთა შორის და უნივერსიტეტი ყოველთვის მზადაა გაითვალისწინოს სტუდენტთა მოთხოვნები და ინტერესები. სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, გაფართოვდა მაგიდის ჩოგბურთის სექცია, გარემონტდა დარბაზი და გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მიმდინარე სასწავლო წელს მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება ქუჩის კალათბურთის მოედნის მოწყობა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სტუდენტთა მოთხოვნას.

სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პარალელულად, უნივერსიტეტის მეორე კურპუსში თანამედროვე და ხალხური ცეკვების დარბაზში დაიგო ახალი იატაკი, რაც სტუდენტებს უფრო მეტ სგიმულს მისცემთ, ჩაერთონ ცეკვის წრეებში.

თსუ სპორტისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯევანიძის თქმით, მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს სპორტულ და ხელოვნების წრეებშიც, რადგან ეს გუნდები მონაწილეობას იღებენ, არა მხოლოდ საუნივერსიტეტო ღონისძიებებში, ისინი თსუ-ს სახელით ასპარეზობენ ქვეყნისა და საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენი სტუდენტების წარმატება კი უნივერსიტეტის გამარჯვებას ნიშნავს.

„შემოდგომის ლეგენდა“ – 2013

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანიც ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვაა.



კონკურსში მონაწილეობას თბილისში აკრედიტირებული სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები მიიღებენ. კონკურსი ორ ეტაპად განხორციელდება, პირველ ტურში კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ პროზაული ნაშრომი არანაკლებ 1 და არაუმეტეს 3 თაბახის გვერდისა, ამასთან კონკურსანტებმა უნდა შეავსონ ელექტრონული ანკეტაც, რომელიც უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა განთავსებული.

უნივერსიტეტის შიდაშესარჩევი ჟიური გამოავლენს 10 საუკეთესო ავტორს, რომელიც კონკურსის მეორე – იმპროვიზაციულ ტურში გადაინაცვლებს. კონკურსის ფინალი წინანდალში, ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმში ჩატარდება. ფინალისტები ჟიურის მიერ მიწოდებულ თემაზე რვა საათის განმავლობაში ახალ ნაწარმოებს შექმნიან.

იმპროვიზაციული ტურის 10 მონაწილიდან ჟიურის წევრები სამ გამარჯვებულს გამოავლენენ, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ ფულად პრემიას და კომპანია „ჯეოსელის“ სპეციალურ პრიზებს მიიღებენ. პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი 1000 ლარით და კონკურსის სიმბოლოთი დაჯილდოვდება, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს კი, შესაბამისად – 700 და 500 ლარი გადაეცემათ.

„შემოდგომის ლეგენდა“ წელს მეხუთედ ჩატარდება. საიუბილეო წელთან დაკავშირებით კონკურსის მასშტაბიც გაიზრდება, ამასთან დაგეგმილია სხვადასხვა სახის სიურპრიზი, რომელიც ფინალისტებისთვის ოქტომბრის შუა რიცხვებში გახდება ცნობილი. საიუბილეო წელს მიეძღვნება 5 წლის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებების ერთიანი ბროშურაც, რომელიც ყველა მსურველს დაჯილდოებაზე საჩუქრად გადაეცემა.

ლიტერატურული კონკურსი 2009 წელს იყალთოში და 2010 წელს ყვარლის ტბაზე გაიმართა, 2011 წელს კონკურსს ლოპოტას ტბამ უმასპინძლა, ხოლო რიგით მეოთხე ლეგენდა ქართულ შატოში ჩატარდა.

აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელების საყურადღებოდ!

შეისწავლეთ თქვენთვის საჭირო ყველა საგამოცდო საგანი ერთ სივრცეში!

თსუ აცხადებს მიღებას სააბიტურიენტო და საატესტატო გამოცდების მოსამზადებელ კურსებზე.

გასული 2012-2013 სასწავლო წელი თსუ-ს აბიტურიენტთა მომზადების განყოფილებამ წარმატებით დაასრულა. აბიტურიენტთა 95% სტუდენტია.

აბიტურიენტთა მომზადების განყოფილება დაკომპლექტებულია მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების მქონე თსუ-ს პროფესორ–მასწავლებლებით.

ჩვენს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა. სწავლება ეფუძნება ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამებსა და მოთხოვნებს. განყოფილებაში პერიოდულად ტარდება შუალედური გამოცდები, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს პრეტესტირება ყველა საგანში.

აბიტურიენტთა განყოფილების მუშაობის პრინციპებია: 1. აბიტურიენტში გააღვიძოს ინტერესი არჩეული საგნის მიმართ, რაც სწავლის პროცესს უფრო შემოქმედებითს და ნაყოფიერს გახდის; 2. აბიტურიენტებს გამოუმუშავოს საკუთარ თავზე მუშაობის ჩვევა, რაც გამოიხატება საშინაო დავალებების სავალდებულო შესრულებაში. 3. აბიტურიენტებს ინტენსიური ტესტირების საფუძველზე ჩამოუყალიბოს ტესტურ დავალებებზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევა.

მეცადინეობები ტარდება ჯგუფურად, კვირაში ორჯერ. ჯგუფში ირიცხება მხოლოდ 5-6 მოსწავლე, ჯგუფში მოსწავლეთა ეს რაოდენობა ოპტიმალური შედეგის მომცემია. ერთის მხრივ, მასწავლებელს არ უჭირს აკონტროლოს თითოეული მოსწავლის მიერ დავალების შესრულების ხარისხი და მეორეს მხრივ, ჯგუფში მუშაობა აბიტურიენტისთვის დინამიურია, რაც ხელს უწყობს მთელი წლის განმავლობაში მოტივაციის შენარჩუნებას. გაკვეთილის ხანგრძლივობა ორი საათია. მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო, მიმდინარეობს ჯგუფების დაკომპლექტება.

ჩვენს განყოფილებაში შეისწავლით ყველა სააბიტურიენტო საგანს: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. მათემატიკა; უცხო ენა (სააბიტურიენტო გამოცდებისთვის საჭირო ყველა უცხო ენა); 4 ქიმია; 5. ფიზიკა; 6. ბიოლოგია; 7. გეოგრაფია; ისტორია; ზოგადი უნარ-ჩვევები.

სწავლება წარიმართება ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ წარმოდგენილი და დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2013 წელს არ გაუზრდია სწავლის საფასური. ორი ან რამდენიმე საგნის არჩევის შემთხვევაში მოქმედებს საგადასახადო შეღავათი. თქვენთვის შემოთავაზებული განსაკუთრებული ფასებია (წლიური გადასახადი): 1. ერთი საგანი – 700 ლარი; 2. ორი საგანი – 1400 ლარი; 3 საგანი – 1995 ლარი; 4 საგანი – 2520 ლარი. ჩვენთან სწავლა თქვენი სტუდენტობის და წარმატების გარანტია! დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9-18 საათებში.

მისამართი: ქეთევან წამებულის გამზირი № 55.

ტელეფონი 599-97-70-90. 599-58-42-24.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge

PDF compression, OCR, web-optimization with CVISION's PdfCompressor